დანართი 3 (3 ფურცელი)

სახელმწიფო უსაფრთხოებისა
და კრიზისების მართვის
საბჭოს აპარატი

OFFICE OF THE STATE SECURITY
AND CRISIS MANAGEMENT
COUNCIL OF GEORGIA

N:640

21/08/2015

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის
დირექტორს ბატონ გიორგი კლდიაშვილს

ბატონო გიორგი,

თქვენი მიმდინარე წლის 17 აგვისტოს N OPD08/15-256 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ 2014-2015 წლების განმავლობაში სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატს ერთხელ, 2014 წლის დეკემბრის ბოლოს 34 (ოცდათოთხმეტ) თანამშრომელზე გაცემული აქვს ე.წ. სადღესასწაული (ახალი წელი) პრემია, საერთო ოდენობით 76,900 (სამოცდათექვსმეტი ათას ცხრაასი) ლარი. სხვა შემთხვევებში პრემია არ გაცემულა. ასევე საბჭოს აპარტს არ გაუწევია ხარჯი ავტომობილების შესყიდვის მიზნით და ამ პერიოდის განმავლობაში არ მომხდარა ავტომობილების ჩანაცვლება იმავე ან გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე ერთი ან მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალებით. ასევე საბჭოს აპარატს არ გაუწევია ხარჯი ე.წ. „როუმინგულ" მომსახურებაზე. რაც შეეხება თქვენი განცხადების მე-14 პუნქტს, გაცნობებთ, რომ სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანს არ ჰყავს მრჩეველი, „სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატის დებულების, საშტატო განრიგისა და მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 იანვრის N86 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატის საშტატო განრიგისა და „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბრის №576 დადგენილების შესაბამისად, საბჭოს აპარატში, სხვა თანამდებობებთან ერთად, გათვალისწინებულია უფროსი მრჩევლებისა და მრჩევლების თანამდებობები და არა სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივნის მრჩეველი.

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად". საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული პერსონალური მონაცემების დაცვის პრინციპი გათვალისწინებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილში, რომლის თანახმადაც, საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პერსონალური მონაცემები თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოს

ინგოროყვას ქ. 7, თბილისი 0114, საქართველო
7. INGOROKVA ST., TBILISI 0114. GEORGIA

ტელ: (995 32) 299 09 00/2367
TEL: (995 32) 299 09 00/2367

10

დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემების გარდა. შესაბამისად, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატი მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს თქვენს მიერ განცხადებით მოთხოვნილი, როგორც ფინანსური, ასევე განცხადების მე-13 და მე-14 პუნქტებით მოთხოვნილი ინფორმაცია ამ პირების თანხმობის წარდგენის გარეშე. ამასთანავე, „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონისმე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ზ[2]" და „კ[3]" ქვეპუნქტების გათვალისწინებით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწე სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხებში - სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივნისა და აპარატის სხვა თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის, მათ შორის, შრომით ანაზღაურებასთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროობა უზრუნველყოფილია და შესაბამისად, მათი ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია დეკლარირებული, საჯარო და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ამასთან აღსანიშნავია, რომ „სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატის დებულების, საშტატო განრიგისა და მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 იანვრის N86 დადგენილებით დამტკიცებულია სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატის საშტატო განრიგი და საბჭოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგო განაკვეთები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ 2014 წლის განმავლობაში სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატის მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებამ (დანამატის ჩათვლით) შეადგინა 1,442,488 (მილიონ ოთხას ორმოცდაორი ათას ოთხას ოთხმოცდარვა) ლარი, ხოლო 2015 წლის იანვრიდან 2015 წლის ივლისის ჩათვლით გაცემულია 1,124,347.40 (მილიონ ასოცდაოთხი ათას სამას ორმოცდაშვიდი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი.

განცხადების მე-6 პუნქტთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატს წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებით გაფორმებული აქვს 12 ხელშეკრულება საერთო ღირებულებით 11, 710 (თერთმეტი ათას შვიდას ათი) ლარი, საიდანაც დღევანდელი მდგომარეობით გახარჯულია 4,855.34 (ოთხი ათას რვაას ორმოცდათხუთმეტი ლარი და ოცდათოთხმეტი თეთრი) ლარი.

განცხადების მე-7 პუნქტთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატის მიერ დახარჯული სამივლინები თანხა შეადგენს 27,870 (ოცდაშვიდი ათას რვაას სამოცდაათი) ლარს, აქედან 1,097 (ათას ოთხმოცდაშვიდმეტი) ლარი დახარჯულია მივლინებაზე ქვეყნის შიგნით, ხოლო 26,773 (ოცდაექვსი ათას შვიდას სამოცდაცამეტი) ლარი - მივლინებაზე ქვეყნის გარეთ.

განხცადების მე-9 პუნქტთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატს გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული აქვს შემდეგი სახლემწიფო შესყიდვები:

1. საოფისე ფართის დასუფთავების სახელმწიფო შესყიდვა (მიმწოდებელი შპს „სუფთა სამყარო"), ხელშეკრულების ღირებულება - 3 122.10 (სამი ათას ას ოცდაორი ლარი და ათი თეთრი);

2. 2015 წლის 13 ივნისის სტიქიური უბედურების დროს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატის კრიზისული სიტუაციების მართვის ეროვნული ცენტრის (დეპარტამენტი) მოსამსახურეებისათვის სპეციალური ტანსაცმლისა და ბათინკების სახელმწიფო შესყიდვა (მომწოდებელი - შპს GLOBAL DEFENSE GROUP), ხელშეკრულების ღირებულება - 9 901 (ცხრა ათას ცხრაას ერთი) ლარი.

განხცადების მე-12 პუნქტთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატში 2015 წლის ივლისში განხორციელებული რეორგანიზაციისას, რა დროსაც გაუქმდა საბჭოს აპარატის ერთ-ერთი სტრუქტურული ქვედანაყოფი, თანამდებობიდან განთავისუფლდა საბჭოს აპარატის ერთი მოსამსახურე.

„სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატში შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 ივლისის N1569 განკარგულების შესაბამისად, საბჭოს აპარატის შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობა განსაზღვრულია 15 ერთეულით. დღევანდელი მდგომარეობით სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატში დასაქმებულია 5 შტატგარეშე მოსამსახურე და მათი შრომის ანაზღაურება განსაზღვრულია 500-დან 1500 ლარამდე.

თქვენი განცხადების მე-18 პუნქტთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატს არ გაუწევია ხარჯი საკონსულტაციო მომსახურეობის სახელმწიფო შესყიდვაზე.

ამასთან გაცნობებთ, რომ 2015 წლის მაისამდე ტექნიკურ-მატერიალური, იურიდიული, ფინანსური და სხვა სახის ადმინისტრაციული უზრუნველყოფის თვალსაზრისით სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატი სამსახურებრივად ექვემდებარებოდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას და „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატის დამოუკიდებელ მხარჯავ დაწესებულებად ჩამოყალიბებამდე საბჭოს აპარატის დაფინანსება უნდა განხორციელებულიყო საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან. 2015 წლის 6 მაისიდან სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატი ტექნიკურ-მატერიალური, იურიდიული, ფინანსური და სხვა სახის ადმინისტრაციული უზრუნველყოფის თვალსაზრისით გამოვიდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამსახურებრივი ქვემდებარეობიდან და 2015 წლის პირველი ივნისიდან ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ მხარჯავ დაწესებულებად. შესაბამისად, 2014 წლისა და 2015 წლის ივნისამდე პერიოდის მონაცემები სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატში სრულყოფილი სახით არ მოიპოვება.

პატივისცემით,

ადმინისტრაციული დეპარტამენტის
დირექტორის მოადგილე — მიხეილ ხაჩიძე